წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №37

2025 წლის 26 დეკემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 სექტემბრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 სექტემბრის N62 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის დანართი №1-ის (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.122.016327, 25/09/2015) პირველი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს თვეში 984 ლარის ოდენობით".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი